

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №279

2011 წლის 12 ივლისი

ქ. თბილისი

საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. [საქართველოს საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის 1¹ ნაწილის](#) შესაბამისად დამტკიცდეს „საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის წესი“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ნ. გილაური**

საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საბიუჯეტო ორგანიზაციის საგადასახადო დავალიანება შესაძლებელია ჩამოეწეროს მისი განცხადების ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) მიმართვის საფუძველზე, განცხადების/მიმართვის წარდგენის მომენტისათვის არსებული საგადასახადო დავალიანების ოდენობის ფარგლებში, მთლიანად ან ნაწილობრივ.

2. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებსა და ცნებებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსში.

მუხლი 2. საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შესახებ განცხადების წარდგენა

1. საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის თაობაზე საბიუჯეტო ორგანიზაცია განცხადებით მიმართავს შემოსავლების სამსახურს.

2. განცხადება უნდა ასახავდეს მონაცემებს საბიუჯეტო ორგანიზაციისა და მისი საგადასახადო დავალიანების შესახებ.

3. განცხადება უნდა შეიცავდეს საბიუჯეტო ორგანიზაციის მიმართვას საგადასახადო დავალიანების მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოწერის შესახებ, ასევე, გადასახადის გადამხდელის ნებართვას შესაბამისი პირებისათვის საგადასახადო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების გაცნობის თაობაზე, ამ უკანასკნელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით.

4. განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი ინფორმაცია საბიუჯეტო ორგანიზაციის საგადასახადო დავალიანებისა და საგადასახადო აღრიცხვის შესახებ.

5. შემოსავლების სამსახური განცხადების რეგისტრაციიდან 10 დღეში ამოწმებს განცხადების ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

6. თუ განცხადება არ შეესაბამება ამ მუხლის მოთხოვნებს, განმცხადებელს შემოსავლების სამსახურის მიერ განესაზღვრება ვადა არა უმეტეს 10 დღისა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა აღმოფხვრას ხარვეზი.

7. შემოსავლების სამსახურის უფროსი/მისი მოადგილე უფლებამოსილია, განცხადება (თანდართული მასალებით) გაუგზავნოს საქართველოს ფინანსთა მინისტრს საკითხის საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვის მიზნით, ან მიზანშეუწონლობის მოტივით უკან დაუბრუნოს განმცხადებელს.

მუხლი 3. საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შესახებ მიმართვის წარდგენა

1. შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია, საბიუჯეტო ორგანიზაციის საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის თაობაზე მიმართვა გაუგზავნოს საქართველოს ფინანსთა მინისტრს საკითხის საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვის მიზნით.

2. შემოსავლების სამსახურის მიმართვა უნდა ასახავდეს მონაცემებს საბიუჯეტო ორგანიზაციისა და მისი საგადასახადო დავალიანების შესახებ.

3. მიმართვა უნდა შეიცავდეს შემოსავლების სამსახურის პოზიციას საბიუჯეტო ორგანიზაციის საგადასახადო დავალიანების მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოწერის მიზანშეუწონილობის თაობაზე.

4. მიმართვას შესაძლებელია დაერთოს გადასახადის გადამხდელის წერილობითი ნებართვა შესაბამისი პირებისათვის საგადასახადო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების გაცნობის თაობაზე, ამ უკანასკნელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით.

5. შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, მიმართვის მომზადებისა და წარდგენის მიზნით შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციიდან გამოითხოვოს საჭირო დოკუმენტები ან/და ინფორმაცია.



მუხლი 4. გადაწყვეტილება საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შესახებ

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო რეგისტრაციიდან 10 დღეში უზრუნველყოფს საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის თაობაზე შემოსავლების სამსახურიდან მიღებული მასალების (განცხადების/მიმართვის) საქართველოს მთავრობისათვის წარდგენას.

2. საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის საკითხს იხილავს საქართველოს მთავრობა და იღებს გადაწყვეტილებას საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის ან ჩამოწერაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც ფორმდება განკარგულების სახით.

3. საქართველოს მთავრობის სხდომაზე საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის საკითხის განხილვისას შესაძლებელია მიწვეულ იქნეს საბიუჯეტო ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი.

4. საბიუჯეტო ორგანიზაციის საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრება ჩამოსაწერი საგადასახადო დავალიანების ოდენობა, სტრუქტურა (გადასახადების ან/და სანქციების სახეები) და ჩამოწერის (საგადასახადო ვალდებულების შეწყვეტის) თარიღი.

5. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება ეგზავნებათ საბიუჯეტო ორგანიზაციას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და შემოსავლების სამსახურს.

მუხლი 5. საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა

1. შემოსავლების სამსახური საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე ახორციელებს საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის დარიცხული გადასახადების ან/და სანქციების თანხის ჩამოწერას.

2. საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის შესაბამისი გადასახადების ან/და სანქციების თანხის შემცირება მისი პირადი აღრიცხვის ბარათებზე ხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

